

K 120 132
3



საქართველოს სსრ საზოგადოებრივი „ცოდნა“

ა. ბოჭორიშვილი

რა ერთს კულტურა?

2

ცოდნა

თ ბ ი ძ ი ს ი ლ ი 1965

IX

ა. ბოჭორიშვილი



რა არის კულტურა?

გამოცემა
„საზოგადოებრ ცოდნა“

თბილისი

1965

37 + 15
008 + 15
δ 897



ძველთაგანვე თქმულა, რომ გაკვირვება სიბრძნის დასაბამია, ფილოსოფია ამით იწყებაო. მართლაც, რამ უნდა აღძრას ჩვენი აზ- როვნება სამოქმედოდ, საძიებლად, თუ ჩვენ არაფერი გვაკვირვებს, თუ ჩვენ ახსნისა და გაგების საჭიროებას არსად ვხედავთ? ვისთვისაც უველაფერი ნათელი და გარკვეულია, იგი მეცნიერებას არ საჭიროებს, მისთვის მეცნიერული კვლევა-ძიება ზედმეტია. ასეთ არსებად რელიგიის წარმოდგენილი ჰყავს ომერთი, რომელიც არ შეიძლება იყოს მეცნიერებით დაანტერესებული. მეცნიერებით არ დაინტერესდება არც ის, ვინც სრულიად არაფერი არ იცის, ვისაც არც ის ესმის, თუ რას ნიშნავს ცოდნა და არცოდნა. გაკვირვება მხოლოდ იქ შეიძლება წარმოიშვას, სადაც არის ნაცნობის გვერდით უცნობი. ვინც ასეთ ვითარებას ხედავს, ის ცდილობს უცნობიც ნაცნობად აქციოს, გაიგოს ის, რაც გაგებული არ არის. ეს საკუთრივ აღამიანური ვითარებაა: მან რაღაც იცის და რაღაც არ იცის. გაკვირვებას მასში იწვევს უცნობი, ნაცნობისაგან განსხვავებული. ეს ნორმალური ვითარებაა აღამიანისათვის: მას სჭირდება შემეცნებითი ძიება, რადგან უველაფერი არ იცის, ხოლო შეუძლია ასეთი ძიება აწარმოოს, ვინაიდან ზოგი რამ იცის და ცოდნას და არცოდნას ასხვავებს. თუ ომერთი არაფერს ეძებს იმიტომ, რომ მისთვის (რელიგიის წარმოდგენით) უცნობი არაფერია, ცხოველი არაფერს ეძებს იმიტომ, რომ მისთვის ნაცნობი, შემეცნებული არაფერია. მხოლოდ აღამიანს სჭირდება და აქვს მეცნიერება.

მაგრამ არის ისეთი ვითარებაც, როცა აღამიანს ჰერნია, რომ იცის ესა და ეს, ნამდვილად კი ასეთი ცოდნა მას არა აქვს; რახან ადამიანი შემეცნებულად, გაგებულად მიიჩნევს იმას, რაც მის მიერ ახსნილი და გაგებული არ არის, ამის მიმართ მას არც უჩნდება გაკვირვება. შედეგი ისაა, რომ აღამიანი არ ეძებს იქ, სადაც უნდა ეძებდეს. ეს გარემოება ხელს უშლის ცოდნის ზრდას, მეცნიერების განვითარებას.

რა არის ამის მიზეზი? რატომ ჰერნია აღამიანს, რომ იცის მოვლენა, როცა ის მან არ იცის? ამას ბევრი რამ განსაზღვრავს, მაგრამ

ყველაზე მეტად მოვლენისადმი მიჩვევა: როცა ამა თუ იმ მოვლენას ხშირად ვხედავთ, მას იმდენად ვერცვეთ, რომ იგი წვერში გავ-ვიღვებას აღარ იწვევს. მისი კვლევაც ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია, მა-არ აწუხებს ჩვენს გონებას, არ იწვევს მას სამოქმედოდ.

კულტურა შეიძლება მოვათავსოთ იმ საგანთა რიცხვში, რომე-ლიც ჩვენთვის ნაცნობია, რომელიც ჩვენში გაკვირვებას არ იწვევს. ჩვენ ისე მჭიდროდ და ყოველდღიურად ვართ დაკავშირებული კულ-ტურასთან, რომ ამაზე უფრო ახლობელს ჩვენთვის თითქოს ვერც დავასახელებთ. საითაც უნდა მივიჩედ-მოვიხედოთ ჩვენს გარშემო, ყველგან კულტურას ვხედავთ. ამ გარემოებამ შეიძლება გვაფიქ-რებინოს, რომ კულტურის რაობა ჩვენ ყველამ ვიცით და კვლევა-ძიება იმის გასარკვევად, თუ რა არის კულტურა, ზედმეტია.

ნამდვილად კი, როგორც ჩვენ ამაში დაგრწმუნდებით, ეს ასე არ არის. კულტურის რაობას იკვლევენ მეცნიერები და მათი კვლევის შედეგები ბევრ რამეში ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ კულტურის რაობის კვლევა გაღრმავებასა და გაფართოებას საჭიროებს. კულტურის სირთულეზე, მის მრავალ-მხრივობაზე, მისი შესწავლის საჭიროებაზე მრავალი ასპექტით მიუთითებს ის, რომ ამ საქმეს ემსახურება არა ერთი, არამედ რამ-დენიმე მეცნიერება.

ჩვენი მიზანია ვესაუბროთ ისეთ მკითხველს, რომელიც არ არის კულტურის ბეკლევარი, მაგრამ სურს უფრო მეტი იცოდეს კულ-ტურის შესახებ, ვიდრე იცის. ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ ის, თუ რა საკითხები დგას მეცნიერების წინაშე კულტურასთან დაკავშირებით, და გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რასაც კულტურის რაობას, მის არსს ეძახიან.

დავიწყოთ სიტყვის ახსნით. „კულტურა“ ნაწარმოებია ლათინუ-რი სიტყვიდან „colere“, რაც ნიშნავს „მოვლას“, „ზრუნვას“, „დამუშავებას“. ამეამად ამ სიტყვამ საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა და ყოველ ენაში ამ სახით იხმარება. პირველ ხანებში კულ-ტურად იგულისხმებოდა მთლიან მიწის დამუშავება. მაგრამ ამ სიტყვის მნიშვნელობა თანდათან გაფართოვდა. იგი გამოიყენეს მცენარეებისა და ცხოველების მიმართ, როცა მათ საგანგებო მოვ-ლასა და ახალი ჯიშების გამოყვანას აწარმოებდნენ. როცა საქმე მიღ-გა იმის აღნიშვნაზე, რა ცვლილებაც ხდებოდა მოვლისა და ზრუნ-ვის წყალობით აღამიანის სხეულსა და სულში, აქაც ეს სიტყვა იქ-

ნა გამოყენებული. კერძოდ, აღამიანის სულის გამო ზრუნვას ცი-
ცერონმა (106—43 ჩ. წ.-მდე) „სულის კულტურა“ უწოდა. ამგარად,
ამ სიტყვით აღინიშნებოდა აღამიანის ყოველგვარი საქმიანობა, რო-
მელიც მიმართულია პირველ რიგში ცოცხალი არსების გაუმჯობე-
სებისაკენ, მასზე ზრუნვისაკენ, მისი მოვლისაკენ. აქედან სიტყვამ
გადაინაცვლა ადგილი იმაზე, რაც იქმნებოდა აღამიანის მოქმედე-
ბით, მისი მოლვაშეობით. აღრინდელი მნიშვნელობები, — დამუშა-
ვება და აღზრდა, — უკანა პლანზე დადგა და წინა პლანი სიტყვის
მნიშვნელობისა დაიკავეს საგნებმა, რომელთაც აღამიანი ქმნიდა.
თუ ერთ დროს კულტურა ეწოდებოდა პირველ რიგში აღამიანის
გარკვეულ მოქმედებას, ახლა ეს სიტყვა აღამიანის ნამოქმედარის
აღსანიშნავად იხმარება მეტწილად.

სიტყვის მნიშვნელობის ეს გადანაცვლება დიდმნიშვნელოვანი
ფაქტია. ამიერიდან „კულტურა“ ეწოდება არა სუბიექტის მოქმე-
დებას, არამედ იმ ობიექტებს, რომლებიც შეიქმნა აღამიანის შეგ-
ნებული გონივრული მოლვაშეობით. ამ მომენტში გაჩნდა პირვე-
ლად კულტურის განსაზღვრა, რომელიც ძირითადად ახლაც მისაღე-
ბია. კულტურის ეს გაგება მოგვცა გერმანელმა ფილოსოფოსმა ი.
გ. ჰერდერმა (1744—1803).

კულტურის ისეთი განმარტება, რომლის მიხედვითაც ის არის
ერთობლიობა აღამიანის გონივრული მოქმედების პროცესტებისა,
ვარგისია მხოლოდ როგორც წინასწარი მითითება იმ სფეროზე, სა-
დაც ამ სინამდვილეს აქვს ადგილი. არსებითი ხასიათის კვლევა იქ-
დან იწყება. უნდა გაირკვეს ამ სინამდვილის არსებითი ნიშან-თვი-
სებები, მისი დანიშნულება და წარმოშობის მიზეზები, მისი ღირე-
ბულება და განვითარების ხასიათი, მისი ერთიანობა და მრავალ-
ფეროვნება და ა. შ.

კულტურის რაობის შესახებ ბევრი რამ არის ნათქვამი და და-
წერილი. ძველი სოფისტებიდან დაწყებული დღემდე ფილოსოფია
ეძებს ამ მოვლენის არსს, მაგრამ სრული თანხმობა ამ საგანზე დღე-
საც მიღწეული არ არის. ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან მეცნი-
ერება არასოდეს არ ამთავრებს თავის საქმეს სინამდვილის შესწავ-
ლის არც ერთ სფეროში. რომელიმე საკითხის გადაჭრა იწვევს ახა-
ლი საკითხის წარმოქმნას. ეს მეცნიერების განვითარების საწინდა-
რია, მისი არსებობის მუდმივი ფორმაა.

ერთ-ერთი ნიშანდობლივი ფაქტი, რაც მოწმობს კულტურის
კვლევის განვითარებას, არის დიფერენციაცია, კულტურის

საკითხების შესწავლისათვის რამდენიმე მეცნიერების შექმნა. ამჟა-
მად კულტურის შემსწავლელ მეცნიერებათაგან უნდა აღინიშნოს
კულტურის ფილოსოფია, კულტურის ფილოლოგია, კულტურის
მორფოლოგია, კულტურის ისტორია, კულტურის სოციალოგია,
კულტურის ფიქტპათოლოგია. ზოგი მკვლევარი კულტურის შემს-
წავლელ მეცნიერებად ოვლის ყოველგვარ გამოკვლევას, რომელიც
ბუნებას არ ეხება და, იმგვარად, მეცნიერებათა ერთობლიობას არ
ჯგუფად ყოფს. ერთს უწოდებს ბუნების მეცნიერებას, მეორეს —
კულტურის მეცნიერებას. ასეთი გაგება კულტურის შემსწავლელი
მეცნიერებისა არ არის მიზანშეწონილი: აქ იჩრდილება სპეციფი-
კური შინაარსი კულტურისა.

კულტურის რაობის გარკვევა კულტურის ფილოსოფიის საქმეა.
ჩვენ შეგვეძლო კულტურის შემსწავლელ სხვა მეცნიერულ დისცი-
ლინებზე არაფერი გვეთვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ იქნებო-
და მიზანშეწონილი: კულტურის მრავალაღნაგობისა და სირთულის
ცხადსაყოფად მოკლედ იმასაც შევეხოთ, თუ კულტურის რა მო-
მენტებს შეისწავლიან აქ დასახელებული დისციპლინები.

კულტურის ფილოსოფიას აინტერესებს ისეთი საკითხები, რო-
გორიცაა: 1. რა არის კულტურა? 2. როგორია კულტურის აგებუ-
ლება? 3. რა ადგილი უჭირავს კულტურას სამყაროში? 4. აუცი-
ლებელია თუ შემთხვევითი კულტურის არსებობა? 5. როგორია
კავშირი კულტურასა და აღამიანს შორის? 6. რა არის კულტურის
კრიტერიუმი? 7. ერთია თუ მრავალი კულტურა? 8. რას ნიშნავს
კულტურის განვითარება და ა. შ.

კულტურის ფიქტოლოგია ცდილობს გაარკვიოს შემდეგი საკი-
თხები: 1. რა ფიქტოლოგიური ფაქტორები დებულობენ მონაწილე-
ობას კულტურის შექმნაში? 2. რა გავლენას ახდენს აღამიანის ფსი-
ქიკაზე კულტურის ფაქტი? 3. რა როლს ასრულებს აღამიანის ფსი-
ქიკური შინაარსი კულტურის ფაქტების შეფასებაში? 4. როგორ
ვითარდება აღამიანის უნარი, რომელიც საჭიროა კულტურის გასა-
გებად და ა. შ.

კულტურის მორფოლოგია მიზნად ისახავს კულტურის ფორმე-
ბის (გეშტალტების) დადგენას, მათი შინაგანი ძალებით განვითარე-
ბის საფეხურებს, მათი ასაკობრივი თავისებურების გარკვევას, ამ
ფორმების გაჩენისა და გაქრობის, სიკვდილის შინაგან ფაქტორებს
და ა. შ.

კულტურის სოციოლოგია განიხილავს საზოგადოებისა და კულტურის ურთიერთობას, კულტურის სოციალურ მნიშვნელობას, მის აღვილს საზოგადოებრივ მოვლენებში.

კულტურის ფსიქოპათოლოგია მოუთითებს ისეთ ფაქტებზე, როცა პათოლოგიური მოვლენა დადებით როლს ასრულებს კულტურის წარმოქმნაში. ცნობილია, მაგალითად ასეთი ფაქტი: ერთმა დიდმა მწერალმა მოგვცა ეპილეფსის (ბნედა) ისეთი აღწერა, რომელიც ფსიქიატრებისათვის სანიმუშო გახდა. გამოირკვა, რომ ეს მწერალი ოვითონ ყოფილა შეპყრობილი ამ ავადმყოფობით და ამას განუსაზღვრავს, ერთი მხრით მაინც, მისი შემოქმედების ეს მომენტი. ფსიქოპათოლოგია კულტურისა ცდილობს გაარკვიოს ისაც, რომ ზოგისათვის საერთოდ მიუწვდომელი ჩეხება კულტურის მნიშვნელოვანი მოვლენები. თუ ამას ფსიქოლოგიური საფუძველა აქვს, იგი ფსიქოპათოლოგიამ უნდა ნათელყოს.

დიდი და ძნელი ამოცანები დგას კულტურის ისტორიის წინაშე. საკითხი ეხება იმას, თუ როგორ არის შესაძლებელი წარმოვიდგინოთ კულტურის ერთიანი ისტორია, სადაც დღემდე არსებული კულტურის მოვლენები ერთიმეორეს გაგრძელებად იქნება გააზრებული. ამასთან არის დაკავშირებული საკითხი, თუ როგორ ვიაზროთ კულტურა: როგორც ერთი რამ თუ როგორც უსაზღვროდ მრავალი, ყოველი ერისთვის, ყოველი შემოქმედისთვის და ყოველი დროისა და ადგილისათვის განსხვავებული? აქ წამოიჭრება აგრეთვე საკითხები კულტურის რანგისა და იერარქიის შესახებ, კულტურის შედარებითი ღირებულების შესახებ და ა. შ.

ნათქვამით, რასაკვირველია, არ ამოიწურება კულტურის პრობლემები. მეცნიერების განვითარებასთან ერთად ჩნდება ახალი პრობლემები და ახალი მეცნიერული დისკიპლინები, რომლებიც გამოყოფენ საკვლევად კულტურის დღემდე შეუმჩნეველ ანდა საქმარისად შეუსწავლელ მომენტს და ამ გზით შეავსებენ იმ ხარვეზს, რომელიც დღემდე შეიძლება არც შეიმჩნეოდა.

* * *

კულტურის რაობის ცხადყოფა მოითხოვს კულტურის ცნების გათიშვას ისეთი ცნებებიდან, როგორიცაა. ბუნება, საზოგადოება, ცივილიზაცია, მეცნიერება, ხელოვნება და ა. შ.

კულტურის განსხვავება ბუნებისაგან შედარებით ადგილი საქ-
მეა. ზოგი მეცნიერი ასე მსჯელობს ამ განსხვავების შესახებ: სამ-
ყარო ორი რიგის მოვლენებისაგან შედგება. ერთია ბუნება, მეორეა
კულტურა. თუ ბეჭითად ვიცით, რა არის ბუნება, კულტურის სფე-
როზე მითითება არავითარ სიძნელეს აღარ შეიცავს. კულტურა იქ-
ნება ის, რაც არ არის ბუნება, რაც ბუნებისაგან განსხვავდება. ამ-
გვარი მსჯელობა უსაფუძვლო არ არის, მაგრამ არც საქმარისია. ახ-
ლა მორიგი საკითხები დგება: რა არის ბუნება? რა ჩერდა ბუნების
გარეთ? რა არის ის, რაც ბუნება არ არის?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებულია ადამიანის
ცნება. პასუხი ასეთია: ის, რაც ადამიანის მიერ არ არის შექმნილი,
რაც ადამიანისაგან დამოუკიდებელია და არსებობდა მუდამ ადამი-
ანის გაჩენამდე, არის ბუნება, ცა და დედამიწა, ჰაერი და წყალი,
მთა და ბარი, მცენარე და ცხოველი და ა. შ. — ყველაფერი ეს არის
ბუნება. თვითონ ადამიანიც ბუნების შექმნილია და ამდენად ისიც
ერთგვარად ბუნებას მიეკუთვნება, ბუნების შვილია. ძველად,
ცრუმორწმუნეობის გაბატონების უამს, ბუნება ღმერთის გაჩენი-
ლად იგულისხმებოდა. ეს დრო წავიდა. ცრუმორწმუნეობის ადგი-
ლი მეცნიერებამ დაიკავა. შევნებულ იქნა ის ჭეშმარიტება, რომ
არავითარი ღმერთი არ არსებობს და ბუნება შექმნილი არავის მიერ
არ არის. იყი ყოველთვის იყო და იქნება. ბუნება მარადიულია.

ახლა ვიკითხოთ: რა არსებობს კიდევ, ბუნების გარდა, მისგან
განსხვავებული? პასუხი ასეთია: არის ისეთი საგნები, ისეთი მოვ-
ლენები, რომელთაც ის ნიშნები არა აქვთ, რაც ბუნების მოვლე-
ნებს. ისინი ადამიანისაგან დამოუკიდებლად არ გაჩენილან, მათ
უადამიანოდ არსებობა არ შეუძლიათ, მარადიულ ყოფას მოკლე-
ბული არიან და ა. შ. ასეთებია, მაგალითად, მეცნიერება, ხელოვ-
ნება, სახელმწიფო წყობილება, ტექნიკა და ა. შ. ეს მოვლენები ბუ-
ნების გაჩენილად არ იგულისხმება. ასე რომ იყოს, სადაც ბუნებაა,
იქ ყველგან უნდა ყოფილიყო მეცნიერება~~არა~~ და ხელოვნებაც, ტექ-
ნიკაცა და საზოგადოებრივი წყობილებაც, მაგრამ ვინ არ იცის,
რომ ეს ასე არ არის? ეს მოვლენები მხოლოდ იქ არის, სადაც არის
და მოღვაწეობს ადამიანი. აი ამ მოვლენებს ეძახიან კულტურას. სა-
დაც ადამიანია, იქ კულტურაც არის, და პირიკითაც, სადაც კულტუ-
რაა, იქ ადამიანიც არის. კულტურა და ადამიანი ვანუყრელად არი-
ან დაკაგშირებული ერთმანეთთან.

დავუშვათ, რომ კულტურა ადამიანის შემოქმედების პროდუქტია და სხვაგან, სადაც ადამიანი არ მოღვაწეობს, ის არსად არ არის. არის თუ არა ამით ნათქვამი ის, რაც აუცილებელი და საკმარისია კულტურის რაობის გარევევისათვის?! არა! ეს საკმარისი არ არის. ასე რომ იყოს, ჩვენი საუბარიც დამთავრებული იქნებოდა მხოლოდ ახლა დგება მთავარი და სპეციალური საკითხები: ვთქვათ, კულტურა ადამიანის შექმნილია, მაგრამ არის თუ არა ყველაფერი, რაც კი ადამიანის ხელიდან გამოდის, კულტურა? შემდეგ, თუ ადამიანი ბუნების ნაწილია, რატომ არის ბუნებისაგან გამოყოფილი ის, რაც ადამიანის მიერ არის შექმნილი? რატომ არ ეძახიან კულტურას იმას, რაც არის შექმნილი ცხოველების მიერ? „ობობა ისეთ ოპერაციებს ასრულებს, რომელიც ფეიქრისას წააგავს, და ფუტკარი ისეთ ფიჭის უჯრედებს აკეთებს, რომელიც არა ერთ ხუროთმოძღვარს შემურდება“ (მარქსი). რატომ არ ითვლება ეს ნაკეთობა კულტურის მოვლენად?

მარქსის ეს სიტყვები მისი მთავარი ნაშრომიდან „კაპიტალიდან“ არის მოყვანილი. მარქსი ეხება შრომის რაობის საკითხს და მას არსებითად განასხვავებს ფუტკრისა და ობობას მოქმედებისაგან. განსხვავებას მარქსი ხედავს იმაში, „რომ ადამიანი, ვიღრე ფიჭის უჯრედს გააკეთებდეს, ჯერ თავის თავში გააკეთებს მას. შრომის პროცესი ისეთი შედეგით თავდება, რომელიც მის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, ე. ი. იდეალურად, უკვე არსებობდა. იმაში, რაც ბუნებით არის მოცემული... ადამიანი ახორციელებს თავის შენებულ მიზანს...“ ცხოველების მოქმედებას იმიტომ არ ეწოდება შრომა, რომ იგი არ არის მიზანდასახული, შეგნებული, წინასწარ მოფიქრებული განზრახვის განხორციელება. ცხოველის მოქმედების განმსაზღვრელია ინსტინქტი, შეგნებას მოკლებული ბუნებრივად თანდაყოლილი მექანიზმი. ადამიანისათვის დამახასიათებელია შეგნებული მიზნით განსაზღვრული მოქმედება. ასეთ მოქმედებას შრომა ეწოდება და იგი მარქსს ადამიანის საკუთრივ უნარად აქვს წარმოდგენილი. ცოცხალი არსება, რომელიც შრომობს, არის ადამიანი. მხოლოდ ადამიანს აქვს შრომის უნარი. არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს ადამიანის ყოველგვარი მოქმედება, ყოველგვარი მოძრაობა, ენერგიის დახარჯვა შრომა იყოს. ადამიანიც ბევრს ჩასმე აკეთებს ინსტინქტურად, შეუგნებლად. ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანი ხშირად შეგნებულად, მიზნის ხელმძღვანელობით აკეთებს

იმას, რაც შრომად ვერ ჩაითვლება. ყოველგვარი შრომა მიზანშეწონილი მოქმედებაა, მაგრამ ყოველგვარი მიზანშეწონილი, მიზნის მქონე მოქმედება შრომა არ არის. შრომასთან მხოლოდ გაშინ გვაქვს საქმე, როცა მიზანშეწონილი მოქმედება მიმართულია, სასარგებლო საქმისაკენ, იმის შექმნისაკენ, რაც აღამიანთა რომელიმე აღამიანური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. შრომის შედეგი ყოველთვის რაღაც ღირებულებას შეიცავს.

რაც ითქვა შრომის შესახებ, ძალაშია კულტურის მიმართაც. კულტურის მოვლენად ვერ ჩაითვლება ვერც ინსტინქტის პროდუქტი და ვერც ისეთი შეგნებული აღამიანური მოქმედების ნაყოფი, რომელსაც ღირებულება, ღირსება და მნიშვნელობა არა აქვს. მართლაც, „კულტურის“ პირველი მნიშვნელობაც ხომ „გაუმჯობესება“, „გაკეთილშობილებაა“?! როგორ ჩავთვლით კულტურის მოვლენად იმას, რასაც ღირებულება არა აქვს? მით უფრო ვერ ჩავთვლით კულტურის კუთვნილებად იმას, რაც ეწინააღმდეგება ღირებულებას.

ახლა შეგვიძლია შევასწოროთ კულტურის ის განმარტება, რომელიც ზემოთ იყო გამოთქმული: კულტურა ეწოდება არა ყველაფერს იმას, რაც აღამიანს გაუკეთებია, რაც აღამიანის ხელიდან გამოდის, არამედ მხოლოდ იმას, რაც იმავე დროს ღირებულია, საჭიროა, სასარგებლოა. მაშასაღამე, გამოდის, რომ სინამდვილეში არსებობს არა მარტო ბუნება და კულტურა, არამედ ამათთან ერთად ისეთი მოვლენებიც, რომელიც არც ბუნებას უკუთვნიან და არც კულტურას. ასეთი მოვლენებიც აღამიანის „წყალიბით“ არსებობენ, ამაში ბუნებას ბრალი არ მიუძღვის. აღამიანში შექმნა არა მარტო კულტურა, კულტურის მოვლენები, არამედ ისიც, რაც კულტურას ეწინააღმდეგება და განადგურებას უქადის. სიკეთეცა და ბოროტებაც აღამიანის მონაწილეობით ხდება, აღამიანია, და მხოლოდ აღამიანი, კეთილიცა და ბოროტიც, ღირებულების მტერიცა და მისი ღამცველიც. ბუნებას ესენი არ ეხება.

ამგვარად, ჩვენ მივიღეთ კულტურის მეორეგვარი განმარტება: კულტურა არის აღამიანის მიერ შექმნილი მოვლენა, რომელსაც დადებითი ღირებულება აქვს. ამ განმარტებამ ის ცვლილება შეიტანა პირველად მოცემულ განმარტებაში, რომ აღამიანის მიერ შექმნილი მოვლენები ორად გაყო და მხოლოდ იმას მიანიჭა კულტურის სახელი, რომელიც ღირებულია, კარგია, მისაღებია. შეგვიძლია თუ არა

საბოლოოდ შევჩერდეთ ამ განმარტებაზე და მით დავკმაყოფილ დეთ? არის თუ არა ეს განმარტება ზუსტი და ნათელი? არა! ამის თქმა არ იქნებოდა სწორი. ის არც ზუსტია და არც ნათელი. პიროვნით, იგი შეიცავს ახალ საკითხებს, რომელთა გარკვევა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ვიცით თუ არა ჩვენ ამ განმარტებიდან, თუ რა იგულისხმება „მოვლენაში“? აღამიანის მოქმედების შედეგად მიღებულია ღირებულების მქონე მოვლენა, მაგრამ გვინდა ვიცოდეთ, რა სახის არის ეს მოვლენა. სიტყვა „მოვლენა“ იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით და ამიტომ გვებადება კითხვა: ჩვენს განშარტებაში ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობა იგულისხმება თუ მხოლოდ ზოგი, ანდა ერთი რომელიმე? სახელმობრ, რომელი? ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმა: „საგნები და მოვლენები კანონებს ემორჩილებიან“. აქ მოვლენა და საგანი გათიშულია. ექნებოდა თუ არა გამოყენება ამ განსხვავებას მოვლენასა და საგანს შორის კულტურის განმარტებისათვის? ეს საკითხიც გასარკვევია.

შემდეგ, რას ნიშნავს „დადებითი ღირებულება“? რა უნდა ვიგულისხმოთ „ღირებულებაში“? როგორ უნდა დავადგინოთ, აქვს თუ არა ამა თუ მნიშვნელობას ღირებულება? რახან „დადებით ღირებულებაზე“ ვლაპარაკობთ, უთუოდ არსებობს „უარყოფითი ღირებულებაც“. რა იგულისხმება ამაში? ესეც პასუხს მოითხოვს, ხოლო პასუხის მონახვა ამ შემთხვევაში არ არის ადვილი. ამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ ის, რომ ერთისათვის რაც ღირებულია, მეორისათვის შეიძლება მოვლებული იყოს ღირებულებას, ერთისათვის დადებითი მეორისათვის უარყოფითია. ვლაპარაკობთ ბურჟუაზიულ და პროლეტარულ კულტურაზე და ზოგჯერ აქ ვგულისხმობთ ურთიერთგამომრიცხველ მოვლენებს; ბურჟუაზია რომ დადებითად აფასებს და კულტურის მოვლენად მიიჩნევს, იმას პროლეტარიატი უარყოფითს დახასიათებას აძლევს და უკულტურობას უწოდებს; ერთისათვის სიკეთე მეორისათვის ბოროტებაა და ა. შ. როგორი უნდა იყოს ამ ვითარებაში კულტურის განმარტება, რომელსაც ზოგადი მეცნიერული ხასიათი ექნება და ყველასათვის მისაღები და სავალდებულო იქნება?

კიდევ უფრო ძნელი ხდება კულტურის გაგება, როცა იმასაც ვაკითხავთ, თუ საიდან მომდინარეობს კულტურის ღირებულება, რა არის ამ ღირებულების პირველი წყარო და, რაც უმთავრესია, რას ნიშნავს თვითონ ეს ცნება — „ღირებულება“, როცა იგი კულტურის მიმართ არის გამოყენებული. ძვირფასი ქვა, ბუნების პროდუქტი,

ლიდად ფასობს აღამიანთა საზოგადოებაში, მაგრამ იგი კულტურის
მოვლენად არ ჩაითვლება. რატომ? თუ ასეთი ქვა ხელოვნურად იქ-
ნება დამზადებული, იგი, ბუნებრივზე უფრო მდარეც რომ იყოს, მა-
ინც კულტურის კუთვნილებად მიიჩნევა. რატომ? ბუნების მიერ ძო-
ცემულ პანტა ვაშლს რომ კულტურას არ მივაკუთვნებთ, ხოლო თუ-
რაშაულის რომელიმე ჯიშს კულტურის მონაპოვრად ვთვლით, ამის
ასესა იმით, რომ თურაშაული უკეთესია პანტაზე, არ იქნებოდა სწო-
რი: ქიმიკოსმა რომ სცადოს თავის ლაბორატორიაში პანტა ვაშლის
შექმნა და მიიღოს იგი, მაგრამ ბევრად უფრო დაბალი ხარისხისა,
გიდრე ბუნებრივი, მაინც კულტურის მოვლენად და უაღრესად დიდ
მოვლენადაც ჩაითვლებოდა, რატომ? ხომ არა გვაქვს ჩვენ აქ საქმე
იმგვარ მოვლენასთან, რომელსაც აგვიწერს მარქსი, როცა ის საქონ-
ლის ლირებულებას იკვლევს პოლიტიკური ეკონომიკის თვალსაზრი-
სით? გასაცვლელად დანამშნული ნივთი ორგვარ ფორმას ატარებს:
ნატურალურსა და ლირებულებითს. ნატურალური ფორმის დახასია-
თება ხდება იმ ნივთიერებათა დასახელებით, რომელიც შეადგეხენ
მოცემულ საგანს, მაგრამ ამგვარივე დახასიათება ლირებულებითი
ფორმისა შეუძლებელია, რადგან „ლირებულებითი საგნობრიობა არ
შეიცავს ნივთიერების არც ერთ ატომს“. ამიტომ საქონელი, რამდე-
ნიც უნდა აბრუნოთ და სინჯოთ, როგორც ლირებულება, მუდამ
უხილავი დარჩება“ (მარქსი). ხომ არ არის საგნის კულტურულობა
ისეთი ნიშანი, რომელიც, მსგავსად ლირებულებისა, უხილავია, მოკ-
ლებულია ნივთიერებას? ეს საკითხიც მოითხოვს პასუხს, იგი კანო-
ნიერი კითხვაა.

სანამ კულტურის სხვა საკითხებს შევეხებოდეთ, ჯერ პასუხი გა-
ცემ იმ კითხვებს, რომლებიც უკვე ცნობილი გახდა ამ საუბრიდან.
რით აისწება, რომ ბუნების მიერ შექმნილი, რაგინდ რთული და მი-
ზანშეწონილიც იყოს იგი, მაინც არ მიეკუთვნება კულტურას? ჩვენ
გავეცანით მარქსის შეხედულებას იმაზე, თუ რატომ ეწოდება ადა-
მიანის (ზოგიერთ) მოქმედებას შრომა და რატომ არის იგი მხოლოდ
ადამიანის კუთვნილება. მარქსის პასუხი ამ კითხვებზე საფუძველს
გვაძლევს კულტურის მიმართაც ასე ვიმსჯელოთ: როგორც მოქმედე-
ბა ადამიანისა შრომად იმიტომ ითვლება, რომ იმაში არის განსახიე-
რებული ადამიანის წარმოდგენა, მიზანი, ამოცანა და შესრულებუ-
ლია ყურადღებისა და ნებისყოფის გამოყენებით, ისე ამა თუ იმ
ადამიანის ნაწარმოები, მისი შრომის შედეგი მხოლოდ მაშინ იქნება
კულტურა, თუ მის საფუძვლად ასეთივე მოვლენებია ნაგულისხმე-
12

ვი, თუ ამაში ადამიანის სულიერი ძალებია გამოვლენილი და გამოსახული. ეს მართლაც ასევა და ამიტომ შეგვეძლო გვეთქვა: კულტურა შრომის ნაყოფია, არ არსებობს კულტურა, რომელიც შრომის ნაყოფი არ იყოს.

როგორც ვხედავთ, მარქსისეული განმარტება შრომისა და დახმარებას გვიწევს კულტურის გაგებაში, მაგრამ ხომ არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ შრომა და კულტურა ერთი და იგივეა და რომ შრომის ცნების დაუფლება იგივეა, რაც კულტურის ცნების დაუფლება! რასაკვირველია, არა! თვით მარქსი იქნებოდა ამის წინააღმდეგი: ანტიკულტურული, ბარბაროსული საქმიანობაც მოითხოვს წინასწარ მოფიქრებას, მისი წარმოდგენას, რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა გაკეთდეს. მაგალითად, ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მხედრიონი ეწევა იმპერიალისტურ ომს დემოკრატიული ვიეტნამის წინააღმდეგ. ამას ჩვენ ბარბაროსობას ვეძახით, თუმცა იგი ემჟარება წინასწარ მოფიქრებასა და დაწვრილებითს გეგმებს. ამ მოქმედებას, მის შედეგებს ჩვენ კულტურას ვერ ვუწოდებთ, რატომ? იმიტომ, რომ შედეგი იმ ომისა დაღებით ლირებულებას მოკლებულია, ხოლო კულტურა არ გაიაზრება ლირებულების გარეშე.

რამდენი შრომაც უნდა დახარჯო, თუ მისი შედეგი ლირებულებას არ შეიცავს, იგი კულტურად არ ჩაითვლება. ეს იმდენად უდავო დებულებაა, რომ მის წინააღმდეგ არსებითად არავინ არ ლაპარაკობს, ამაზე დავა არ წარმოებს. მაგრამ ამის გამო დავის სიმწვავე კულტურის გარშემო არ ნელდება. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დემოკრატიული ვიეტნამის წინააღმდეგ წარმოებულ ომს კულტურულ ღონისძიებად თვლის, იგი მას პროგრესულ მოვლენად აქვთ წარმოდგენილი. კულტურის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი სწორედ ეს არის: რა უნდა ჩაითვალოს ლირებულების მქონედ, რა უნდა გაკეთდეს, რომ მას ლირებულება ჰქონდეს და ამის გამო კულტურას მიეკუთვნოს? უთანხმოება ამ საკითხში იმდენად დიდია, რომ ხშირად ერთსა და იმავე მოვლენას ერთნი კულტურად მიიჩნევინ, მეორენი კი ანტიკულტურულ მოვლენად თვლიან. ამ ვითარების გამოხატვაა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა ბურჟუაზიული და პროლეტარული კულტურა, როცა მათი ურთიერთგამომრიცხველობა არის ამაში ნაგულისხმევი.

გასაგებია, რომ კულტურის შემსწავლელი მეცნიერებანი, განსაკუთრებით კი კულტურის ფილოსოფია, ასე დიდ ყურადღებას აქცევენ ლირებულების პრობლემას. ეს საკითხი გადაჭრილად იგულისხ-

მება, როცა რომელიმე კონკრეტული მოვლენის კულტურულობის
საკითხი დგას მეცნიერების წინაშე. კულტურის ფილოსოფას ამ სა-
კრთხში დიდ დახმარებას უწევს ფილოსოფიის ის დისციპლინა, რო-
მელიც საგანგებოდ იყვლევს იმას, თუ რა არის საერთოდ ღირებუ-
ლება და რა რა სახის ღირებულებანი არსებობენ ჩეალურად. ამ
მეცნიერებას ღირებულების ფილოსოფია ეწოდება და იგი უახლოეს
კავშირშია კულტურის ფილოსოფიასთან. როცა, მაგალითად, საზო-
გადოებრივი ცხოვრების საუკეთესო ფორმად კომუნისტური წეს-
წყობილება ითვლება, ადამიანის შემოქმედების ყოველი პროდუქტი
ამ კუთხით ფასდება და დადებითი შეფასების შემთხვევაში კულტუ-
რის კუთვნილებად შეიძლება ჩაითვალოს. საწინააღმდეგო ვითარე-
ბა გვაქვს მაშინ, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების საუკეთესო
ფორმად მიიჩნევენ კაპიტალისტურ წესწყობილებას. აյ მხოლოდ
იმას აქვს ფასი და კულტურული ღირებულება, რაც კაპიტალისტუ-
რი წესწყობილების გახანგრძლივებას უწყობს ხელს და ა. შ. კულ-
ტურა რომ ღირებულებას უნდა შეიცვლეს, ეს არ არის სადაც.
ან ას ალიარებს როგორც კომუნისტური სამყარო, ისე კაპიტალისტუ-
რი სამყაროც. დავა იწყება მაშინ, როცა საქმე იმაზე მიღება, თუ.
სახელდობრ, რა არის დადებითი ღირებულების მატარებელი.

ამგვარად, მარქსის დებულების გამოყენებამ ჩვენ მოგვცა კულ-
ტურის ისეთი განმარტება, რომლის მიხედვით ის არის ადამიანის
შინაგანი, იდეალური სინამდვილის გამოვლინება, რომელსაც ღირე-
ბულება აქვს. ეს განმარტება შრომის განმარტების ანალოგით არის
მიღებული და, ცხადია, საჭიროებს შემდგომს დაზუსტებას: ხომ ვერ
ვიტყვით, რომ შრომა და კულტურა ერთი და იმავე მნიშვნელობის
ცნებებია? ეს იქიდანაც ჩანს, რომ კულტურა შრომის შედეგია და მა-
შინ არსებობს, როცა შრომა დამთვრებულია, უწყვეტილია. კულ-
ტურა შრომა კი არ არის, არამედ შრომის პროდუქტია. ახლა ამ ცნე-
ბას ესაჭიროება განმარტება: რა არის პროდუქტი და რომელ
პროდუქტს შეიძლება ეწოდოს კულტურა?

შრომა არის ისეთი პროცესი, რომელიც იდეალურის ჩეალიზა-
ციას გვაძლევს. შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ იდეალურის ჩე-
ალიზაცია მხოლოდ შრომის საშუალებით ხდება? არა! ამის მტკიცე-
ბა არ იქნებოდა საფუძვლიანი; იდეალური, შინაგანი, სულიერი მოვ-
ლენა ადამიანისა შეიძლება გამოვლინდეს შრომის გარეშეც, თავის-
თვალი. ასეთ მოვლენებს ფიქტუროგიაში შეისწავლიან და მათ სუ-
ლიერი მოვლენების გამოხატულებას ეძახიან. მაგალითად, ჩვენ

მწუხარე და მხიარულ გუნებაზე მყოფ ადამიანს ვარჩევთ ერთმანეთისაგან მათი გამომეტყველებით, სხეულებრივი გამოვლინებით. აქ რომ იდეალურის, ფსიქიკის გამოვლინებასთან გვაქვს საქმე, ამას ვერავინ უარყოფს, მაგრამ ეს კულტურა არ არის, ესეც უდავოა. მაშასადამე, ყოველგვარი გამოვლინება იდეალურისა რეალურში კულტურად არ ჩაითვლება. სირცევილის განცდის გამო რომ ადამიანი გაწითლდა, ხოლო შიშის განცდის გამო გაფითრდა, შინაგანის, იდეალურის გამოხატულებაა, მისი გამოვლენაა ობიექტურად, მაგრამ ამას კულტურას არავინ ეძახის. ეს მსგავსია ბუნების მოვლენებისა და ადამიანის შეგნებულსა და ნებისმიერ ჩარევას არ საჭიროებს. არც ყოველგვარი იდეალური და არც ყოველგვარი გამოვლინება გამოდგება მისათვის, რომ მას კულტურის ფაქტი ვუწოდოთ.

გამოვლინება უნდა იყოს არა ბუნებრივი პროცესის შედეგი, არა, ასე ვთქვათ, ბუნების ნაკეთები, მისი პროდუქტი, არამედ ადამიანის მიერ განზრახ, გარკვეული მიზნით და თავისებური ფორმით გამოწვეული ობიექტური ფაქტი. ილია ჭავჭავაძის საფლავზე მწუხარე, მგლოვიარე ქალია გამოხატული. მწუხარების ეს გამოხატულება კულტურაა. იგი ადამიანის შემოქმედების პროდუქტია და არ ბუნებას მოვლენა. ეს ასე უნდა იყოს აუცილებლად, რათა იგი ჩაითვალოს კულტურად, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. მწუხარება, რომელიც შეიძლება განეცადა რომელიმე კერძო პირს თუნდაც სწორედ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო. ასე რომ იყოს, მას მხოლოდ სუბიექტური, ინდივიდუალური მნიშვნელობა ექნებოდა და არა კულტურული.

საჭიროა, მაშასადამე, თვით იდეალურში მოხდეს ისეთი ცვლილება, რომ იგი კულტურისათვის გამოსაღევი გახდეს. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. თუ აქამდე მხოლოდ იძახე ვამახვილებდით ყურადღებას, რომ კულტურა გაგვესხვავებინა ბუნების მოვლენებისაგან და ამიტომ ადამიანის შემოქმედებით საქმიანობაზე მივუთითებდით, ახლა ვხედავთ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ საშუალებაა და მოსამზადებელი საფეხური კულტურისათვის. თვითონ კულტურის შემადგენლობაში ამ მოსამზადებელი მუშაობის ელემენტები არ შედის. არც იდეალური, როგორადაც მოცემულია იგი ბუნებრივად, ფსიქოლოგიურად და არც რეალური, ბუნების საგნების სახით მოცემული, არ შედის კულტურის შეძალებისაში. ერთიცა და მეორეც აუცილებლად უნდა გადაკეთდეს და ერთ ახალ მთლიანობაში შეჩრწყმულად მოგვევლინოს. კულტუ-

რული შემოქმედება იდეალურზე მუშაობით იწყება. შინაარსი ამ მუშაობისა იმაში მდგომარეობს, რომ იდეალური-სუბიექტური და ინდივიდუალური — თანდათან უკანა პლანზე გადავწიოთ და წინ წა-მოვწიოთ იდეალური — ობიექტური და სოციალური. როცა ასეთი შინაარსი სათანადო გამოხატულებას პოვებს ობიექტურ მასალაში და ამ სახით მოგვევლინება, საქმე გვექნება კულტურასთან, კულტუ- რეულ შემოქმედებასთან.

* * *

შევხედოთ ახლა საკითხს მეორე ასპექტით: რას აძლევს კულტუ- რა ადამიანს, პიროვნებას? იმისთვის, რომ შეიქმნას კულტურა, რო- გორც ობიექტი, საგანი, სინამდვილე, საჭიროა როგორც ბუნების მი- ერ მოცემული საგნის, ისე მის მიერვე მოცემული სულიერი ცხოვ- რების ვარდაქმრა და მათი ერთ მთლიანად შერწყმა. ეს არის ახალი საგანი, რომელსაც ზოგადი და საყოველთაო ღირებულება აქვს. ადა- მიანმა თავისი ინტელექტუალური და ფიზიკური შრომით შექმნა კულტურა და ზრუნავს მის დაცვას და განვითარებაზე. რას აძლევს თავის მხრივ კულტურა ადამიანს? არის თუ არა ადამიანის შრომა ანაზღაურებული? ამ საკითხის ნამდვილი შინაარსი ნათელი იქნება, თუ კულტურის საგანში იმას ვიგულისხმებთ, რაც უშუალო უტი- ლიზაციისათვის არ არის დანიშნული, რასაც გარდუვალი ღირებუ- ლება აქვს.


კულტურა ადამიანის შექმნილია და მხოლოდ ადამიანისთვის აქვს მას ღირებულება, მხოლოდ ადამიანს ესაჭიროება იგი. რამდენადაც გაუმჯობესებაა იმის, რაც არის, მას მხოლოდ ისეთ არსებასთან აქვს საქმე, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას და რომელსაც გა- უმჯობესების ძალა და შესაძლებლობა აქვს. ადამიანის განსაზღვრა- თა შორის შეიძლება ისეთი განსაზღვრაც წამოვაყენოთ, რომლის მცხედვით, ადამიანი არის ისეთი არსება, რომელიც ქმნის კულტურას, რომელსაც ესაჭიროება კულტურა. ეს განსაზღვრა ზუსტია იმდენად, რამდენადაც იგი მხოლოდ ადამიანზე ითქმის და თანაც ყოველ ადა- მიანზე.

ადამიანისათვის ყველაზე მეტად ისაა დამახსასიათებელი, რომ ის დაბადებისას მხოლოდ მრავალი შესაძლებლობის მატარებელია, მაგ- რამ მხოლოდ შესაძლებლობისა. ჩამოყალიბებულად და საბოლოოდ გარკვეულად მას თითქმის არაფერი აქვს. არც ერთი არსებისათვის განვითარებას ისეთი მნიშვნელობა არა აქვს; როგორიც ადამიანისა-

თვის. ცხოველიცა და მცენარეც, მაგ., თავიდანვე სავსებით აქმაყო-
ფილებენ შესაბამისი ცნებების მოთხოვნას. ამას ვერ ვიტყვით ადა-
მიანზე. ადამიანი დაბადებისას მხოლოდ შესაძლებლობას შეიცავს.
მას აქვს იმის ძალა, რომ ადამიანი გახდეს, მაგრამ იგი ჯერ კადევა არ
არის ნამდვილი ადამიანი: ის ვერც იარაღს აკეთებს და ვერც კულტუ-
რურის რომელიმე სხვა ობიექტს. ადამიანმა რომ ეს შეძლოს, საჭი-
როა მოქმედება, გარკვეული მიმართულებით აქტივობა, შრომა.
ცხოველს ცხოველმა ეძლევა, ადამიანმა ადამიანობა უნდა მოი-
პოვოს. აი ამ ამოცანის გადაჭრა არსებითად უკავშირდება კულტუ-
რას, კულტურული მოლვაწეობის საკითხს. საქმე ეხება ადამიანის
კულტურას, ადამიანის გაეულტურებას.

ნამდვილი განვითარების დედაზრი პიროვნების შესაძლებლო-
ბათა სრული გაშლაა, მათი მაქსიმალური რეალიზაციაა. ადამიანს
აძის მოთხოვნილება იმგვარადვე აქვს ბუნებრივად მოცემული, რო-
გორც ცხოველს ზრდისა და თავის შენახვის ინსტინქტი. განსხვავე-
ბა ისაა, რომ ცხოველმა თავისი ინსტინქტური მოთხოვნილება ბუ-
ნებრივი საგნებით უნდა დაიკმაყოფილოს, ხოლო ადამიანი თვითო-
ნევ ქმნის ამ საგნებს. შეიძლება ითქვას, რომ ცხოველი არსებითად
მხოლოდ მომხმარებელია, ხოლო ადამიანი პირველ რიგში შემოქმე-
დია და მხოლოდ მეორე რიგშია იგი მომხმარებელი. უფრო სწორად,
ადამიანი იმის მომხმარებელია, რის შემქმნელიც ის თვითონ არის. ამ
დებულებას არ ეწინააღმდეგება ის, რომ ფუტკარი თავლს ამზა-
დებს, ხოლო ობობა ქსელს აბამს. როგორც ითქვა, ეს მოქმედება არ
არის შრომა და ამიტომ არც შემოქმედებად ჩაითვლება. ისიც უნ-
და ალინიშნოს, რომ ადამიანი ზოგჯერ იმას მოიხმარს, რაც მისთვის
ბუნებას მიუცია, რასაც მისი შრომის დაღი არ აზის, მაგრამ ასეთ
შემთხვევებს ადამიანის ცხოვრებაში უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ
და არ ჩაითვლებიან ადამიანისთვის დამახასიათებლად.

ადამიანის ცხოვრებისა და განვითარებისათვის გადამწყვეტი მნი-
შვნელობა აქვს საზოგადოებას, კერძოდ, იმ საგნებსა და მოვლენებს,
რომელთაც ობიექტური ღირებულება აქვთ. ეს ის საგნები და მოვ-
ლენებია, რომლებიც ადამიანს შრომით შეუქმნია და რომელთაც
შემდეგ მის შემქმნელისგან დამოუკიდებელი არსებობა და მნიშვნე-
ლობა მინიჭებიათ. ამ საგნებს, როგორც ითქვა, კულტურას ეძახიან
და ამის საფუძველზე კულტურულ ადამიანად ის ითვლება, ვინც აი-
თვისებს ამ საგნებს, ვინც ეზიარება მათ. ადამიანი კულტურულ არ-
სებად ხდება მაშინ, როცა ცალკედონული კულტურას, ე. ი. იმას,
2. ა. ბოჭორიშვილი



რაც ადამიანის მიერვე არის შექმნილი. ამიტომ ამბობენ, რომ ადამიანის განვითარება—გაუმჯობესება, ე. ი. კულტივაცია არის ადამიანის მიმღები თავის თავთან: კულტურა ადამიანმა შექმნა, ხოლო ადამიანი — კულტურამ. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ასეთი „უცნაური“ ვითარება?

ადამიანი გონის მქონე არსებაა. ეს ნიჭი აძლევს ადამიანს იმის საშუალებას, რომ მან თავისი თავი დაუპირისპიროს ბუნებას, საზოგადოებას, სამყაროს. ამ დაპირისპირების პროცესში ადამიანისთვის იქმნება მე და არა-მე, პირველ რიგში კი მე და შენ. ეს არის ადამიანის ცხოვრებაში პირველი და ძირითადი მომენტი, რითაც ადამიანის ადამიანობა იწყება. მეორე მომენტი იმის რეალიზაციაა, რაც აქვს ადამიანს, როგორც ჩანასახი, როგორც პოტენცია. ადამიანის გონით ძალების რეალიზაცია ნიშნავს იმის შექმნას, იმის გაკეთებას, რაც არის მოცემული გონის შინაარსის სახით. აზროვნების უნარის რეალიზაცია, მაგალითად, არის მეცნიერების შექმნა, ესთეტიკური ნეტის რეალიზაცია — ხელოვნების შექმნა, ზნეობრივი უნარის რეალიზაცია — სიკეთის შექმნა, კეთილი-საქმეების გაკეთება და ა. შ. ადამიანის განვითარებისთვის ამგვარ მოქმედებას. არსებითი მნიშვნელობა აქვს: როცა ადამიანი ახალ საგნებს ქმნის და ამით სამყაროს ამდიდრებს, იგი ამდიდრებს, ავითარებს და აუმჯობესებს თავის თავსაც. ამას შეიძლება ვუწოდოთ ადამიანის კულტივაცია.

ადამიანის პოტენციის რეალიზაცია მარტო მაშინ კი არ ხდება, როცა იგი ქმნის ღირებულებას, ღირებულების მქონე საგნებას, არა-მერ მაშინაც, როცა იგი „მოიხმარს“, აითვისებს ამ საგნებას. მეტ-ნაკლებად ყოველი ადამიანი არის კულტურის შექმნელიცა და მომხმარებელიც. სადაც შრომაა, სადაც საზოგადოებრივი სასარგებლო ხალჯაა ენერგიისა, იქ ყველგან ღირებულება იქმნება. ასეთი ღირებულება კულტურად იწოდება. ამიტომ ვამბობთ, რომ შრომის პროდუქტის შეუფასებლობა, მისადმი უდიერი მოპყრობა არის უკულტურობა. ადამიანისგან რომ კულტურულობას მოვითხოვთ, ეს იგივეა, რაც ადამიანისგან ადამიანობის მოთხოვნა, ხოლო ადამიანობა განვითარებას, პოტენციალურად მოცემულის რეალიზაციას ნიშნავს.

აქ ახალი საკითხი დგება: ადამიანის გაკეთილშობილებისათვის, გაკულტურებისათვის რომ ღირებულების მქონე საგნებია საჭირო, ეს გასაგები ჩანს, მაგრამ შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ადამიანის პიროვნების განვითარებისათვის გამოდგება ყოველივე საგანი, რომელსაც საზოგადოებაში რაიმე ღირებულება აქვს მინიჭებული?

ეს საყითხი თეორიულადაც და განსაკუთრებით კი პრაქტიკულად ძნელი გადასაჭრელია. აქ გასათვალისწინებელია ძირითადად შემდეგი: ადამიანისა და პიროვნების ცნება საცხებით არ ემთხვევა ერთმანეთს. რაც ეხება ადამიანს, ყველაფერი პიროვნებამდე არ აღწევს. პიროვნება ადამიანის ცენტრია. ადამიანს აქვს პერიფერიაც, რაზედაც მოქმედება პიროვნებამდე არ აღწევს, პიროვნულ ცვლილებებს არ იწვევს. ადამიანის კულტურულობისათვის მნიშვნელობა მხოლოდ ისეთი საგნების შექმნასა და ათვისებას აქვს, რომელიც თვეის გავლენას ავტოლებენ ადამიანის პიროვნებამდე, მის ცენტრალურ მომენტამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს ლირებულ საგანთა შორის ისეთის შერჩევა, რომელიც პიროვნული ცვლილების გამომწვევი იქნება. ცვლილებაში აქ იგულისხმება პიროვნების იმ ძალების განვითარება, რომელიც ჩანასახვან მდგომარეობაში არიან. ადამიანმა შეიძლება შეითვისოს ისეთი რამ, რაც სულ არ ეხება მისი პიროვნების მიღრევილებას, მასში მთვლემარე ძალებს. ასეთი აქტი ადამიანისა არ ჩაითვლება მის მიმართ კულტურის აქტად.

შეიძლება იგივე საგანი მეორე ადამიანში მისი პიროვნების განვითარების სტამულად იქცეს. ეს გასაგებია, რადგან ადამიანთა პიროვნებანი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ისინი უნიკალური, ინდივიდუალური ბუნებისა არიან. აქედან ის აზრიც მტკიცდება, რომ ერთი და იგივე გარემო, ერთი და იგივე ღირებული საგნების სისტემა არ არის ერთი და იგივე სხვადასხვა პიროვნებისათვის. იმისათვის, რომ გვქონდეს აღზრდის მაღალი კულტურა, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ადამიანთა შორის, ზოგადს გარდა, ინდივიდუალური თვისებებიც არსებობს და მათაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

კულტურის საგანთა ღირებულების ხარისხი და მათი კულტურულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. არის ისეთი შემთხვევები, როცა მაღალი ღირებულების საგანი ამა თუ იმ ადამიანის პიროვნებამდე ვერ აღწევს, მასში არავითარ ცვლილებას არ ახდენს, ხოლო შედარებით უმნიშვნელო ნივთი პიროვნების თვალსაჩინო აქტივიზაცია-განვითარებას იწვევს. აქ მარტო ადამიანის განვითარების დონეს კი არა აქვს მნიშვნელობა, არა-მედ იმასაც, რომ არა აქვს ადგილი ნათესაობას ამ საგნის შინაარსა და ამ პიროვნების სულიერ წყობას, შორის. შეიძლება ასეთი ნათესაობა ვერავითარდა ღონისძიებამ ვერ დამყაროს. არიან ისეთი მაღალი რანგის საგნობრივი ღირებულებანი, რომელთა კულტურუ-

ლი ზემოქმედება აღამიანთა მხოლოდ მცირე რაოდენობაზე ვრცელდება. ამის გამო მათი ღირებულება არ უქმდება. მაგრამ, როცა ჩეენ წინაშე პიროვნების განვითარების საკითხი დგას, იმ პრინციპიდან უნდა ამოვიდეთ, რომ მოვახდინოთ სამოქმედო საგანთა შერჩევა პიროვნების მიღრეკილებათა მიხედვით.

ყველაფერი, რაც ღირებულია, არავინ არ იცის, არავის შეუთვისებია, ამიტომა ნათქვამი: „ვინც ყველაფერი იცის, მან არაფერი არ იცის“. მაგრამ ყოველგვარი ცოდნა კულტურულობას არ ამაღლებს. ბევრი რამ რჩება აღამიანის სულიერი ცხოვრების პერიფერიაში და ზოგჯერ პიროვნებას ზედმეტად აძმიმებს და განვითარების გზას უხშობს. პედაგოგიკაში კარგ მეხსიერებას იმას კი არ ეძახიან, რაც არც ერთ შთაბეჭდილებას არ კარგავს და ყოველთვის მზადა ყველა შთაბეჭდილება აღადგინოს, არამედ იმას, რომელიც შერჩევით მუშაობს და მხოლოდ იმას გაიხსენებს, რაც ამა თუ იმ კონკრეტულ ამოცანას სჭირდება. ასეა ამ შემთხვევაშიც: არა ყოველგვარი ღირებული საგანი უნდა გამოვიყენოთ პიროვნების გასავითარებლად, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის შესატყვისი გამოძახილიც მოიძებნება პიროვნებაში.

კულტურული განვითარება და ბუნებრივი განვითარება სხვადასხვაა. აღამიანის შინაგანი სამყაროც ვითარდება ბუნებრივი, ფსიქოფიზიკური საშუალებებით, მაგრამ ამ ფაქტს მცირე მნიშვნელობა აქვს. აღამიანის შინაგან ცხოვრებაში მთავარია ის პროცესი, რომელიც გონის პროდუქტების ზემოქმედებით მიმდინარეობს. აქ განვითარების ღირებულება გარანტირებულია იმით, რომ საქმეში ჩართულია ობიექტური ღირებულება, რომელიც აღამიანის სულიერ ცხოვრებაზე გამაკეთილშობილებელ გავლენას ახდენს. ამიტომა, რომ აღამიანის სულიერი ცხოვრება, როცა იგი უბრუნდება თავის თავს, ობიექტურ ღირებულებასთან ურთიერთობის შემდეგ ამაღლებულია, უფრო ფასეულია, ვიდრე ის იყო მაშინ, როცა სუბიექტიდან გარეთ, ობიექტისკენ მიიმართებოდა. კულტურა სუბიექტურისა და ობიექტურის ისეთი სინთეზია, რომელიც ახალ ღირებულებას ქმნის. ეს პიროვნების ამაღლებით გამოიხატება.

გასაგებია, რომ ზოგი მკვლევარი კულტურას ღირებულების მქონე აღამიანის მიერ შექმნილ საგნებს კი არ უწოდებს, არამედ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ აღამიანის სულმა მაღალ საფეხურს მიაღწიოს ობიექტური საგნების ღირებულების ასიმილაციის გზით. თვით ეს

საგნები კულტურის საგნებად მხოლოდ იმდენად იწოდებიან, რაშ-
დენადაც მონაწილეობას იღებენ ადამიანის სულის ამაღლებაში, მეც-
ნიერება, მაგალითად, მეცნიერებაა და არა კულტურა, მაგრამ ის
კულტურის ფუნქციის მატარებლად ჩაითვლება, თუ მისმა ზემოქმე-
დებამ ადამიანზე მიაღწია პიროვნებას და მასზე კეთილი ზეგავლენა
მოახდინა.

შესაძლებელია ისიც, რომ ზოგ ადამიანში მეცნიერულმა ცოდ-
ნამ პერიფერიაში დაიღოს ბინა და არავითარი გავლენა არ მოახდი-
ნოს პიროვნებაზე. ასეთი ცოდნა ამ ადამიანისთვის არ იქნება კულ-
ტურა. ის ფაქტი, რომ კულტურის ცნებას პირველ რიგში ხელოვნე-
ბა სკავშირდება ჩვენს ცნობიერებაში, კულტურის უნივერსიტეტებ-
ში ლაპარაკია პირველ რიგში ხელოვნებაზე, მის სხვადასხვა დარგებ-
ზე და კულტურის სამინისტროს საქმიანობა ეხება პირველ რიგში
ხელოვნებასა და ხელოვნებისათვის შექმნილ დაწესებულებებს, იმაზე
მიუთითებს, რომ პიროვნებაზე ზემოქმედების, მისი განვითარებისა-
თვის მნიშვნელობის თვალსაზრისით ხელოვნებას პრივილეგიური
აღილი უჭირავს. ამ ფუნქციას მეცნიერება ისე დიდი მასშტაბით
ვერ შეასრულებს, როგორც ხელოვნება.

კიდევ უფრო მცირეა ტექნიკის როლი ადამიანის პიროვნულ
თვისებებზე ზემოქმედების საქმეში. მანქანის მძლოლისათვის სულ
ერთია, საღაურია მანქანა, ქართული თუ რუსული, ოლონდ იგი კარ-
გად მუშაობდეს, მაგრამ თუ ეს მძლოლი ქართველია, ქართული მუ-
სიკა მასზე იმ შთაბეჭდილებას მოახდენს, რომელსაც ვერ მოახდენს
მასზე გერმანული მუსიკა. ამას არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ,
მაგალითად, ბეთჰოვენის მუსიკა ყველა ერის შვილზე დიდ შთაბეჭ-
დილებას ახდენს, რადგან აქ ისაა შთაბეჭდილების გამომწვევი, რაც
ეროვნული კი არა, საკაცობრიოა, რაც ბეთჰოვენის მუსიკაში არის
საკუთრივ გერმანული, ის არსებითად მხოლოდ გერმანელის სუ-
ლიერ ცხოვრებაზე ახდენს მაქსიმალურ შთაბეჭდილებას.

კულტურული განვითარება მხოლოდ ადამიანს შეუძლია. ცხოვე-
ლი თუმცა სულიერი არსებაა, მაგრამ არც შექმნა კულტურისა და
არც სარგებლობა კულტურის მონაცემებით არ შეუძლია. ის, რაც
აქვს ადამიანს, განსხვავებით ცხოველისაგან, და რაც საფუძვლად
უძევს კულტურას, ეს არის გონი, შემოქმედების მძლავრი იარაღი.
მხოლოდ გონს შეუძლია გამოყოს ადამიანი ბუნებისაგან და დაუპი-
რისიროს იგი მას, როგორც დამოუკიდებელი შემოქმედი, თავისი
საკუთარი მჩწამსის მქონე აქტიური არსება. ბუნებასთან კავშირს

ადამიანი ვერც ამ დაპირისპირების შემდეგ გაწყვეტს. პირიქით, კავშირი ამიერილან უფრო მტკიცე არის, მაგრამ თვით კავშირი ამიერილან სხვაგვარია, მრავალფეროვანია.

კულტურულ მშენებლობაში ადამიანი ბუნების მონაცემებს ემყარება, კულტურას რეალურ არსებობას ბუნების მიერ მოცემული მასალა ანიჭებს. მატერიალური მხარე კულტურისა არის არა მატო მისი შემნახველი და გადამცემი თაობიდან თაობაზე, არამედ თვით კულტურის თავისებურების, მისი შინაარსის მონაწილეც. ამბობენ, რომ ბუნება კულტურის მიმართ აბსოლუტურად ინდიფერენტული არ არისო. ის ფაქტი, რომ გონითი სამყაროს, სულიერი სინამდვილის გამოსახვა მატერიალურ სინამდვილეში შესაძლებელია, ახალ პრობლემას უყენებს კულტურის ფილოსოფიას: როგორ უნდა ვაზროთ ურთიერთობა მატერიალურსა და იდეალურს შორის იმ ფაქტის საფუძველზე, რომ კულტურის სახით მოცემულია ისეთი ორგანული მთლიანობა, რომელიც მატერიალურსაც შეიცავს და იდეალურსაც?

ამ პრობლემაზე მუშაობისას მატერიალიზმი და იდეალიზმი ერთ მომენტში შეერთებული ძალით უტევენ იმ ფილოსოფიურ მიმართულებას, რომელიც უარყოფს მატერიალურისა და იდეალურის კონტაქტს, ურთიერთკავშირს და ამის გამო დუალიზმად იწოდება. თუ დავდგებით დუალიზმის თვალსაზრისზე, კულტურის ფაქტი გაუგებარი დავვრჩება, იძულებული ვიქნებით მატერიალურისა და იდეალურის კავშირი, რომელიც უშუალოდ გვეძლევა, მაგალითად, ქანდაკებაში, მოჩვენებით კავშირად, ილუზიად გამოვაცხადოთ. ამ მიმართულების უკუგდების შემდეგ იწყება შეურიგებელი ბრძოლა იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის. იდეალიზმი ცდილობს დააშტკიცოს, რომ მატერიალურს რომ ვეძახით, ის ნამდვილად არის იდეალური და ამიტომ კულტურის ფაქტი გასაგებია: იგი მთლიანად იდეალურია: იდეალურის კავშირი იდეალურთან არავითარ სიძნელეს არ ხვდება.

მატერიალიზმი უარყოფს ამგვარ შეხედულებას და იმას ამტკიცებს, რომ კულტურა თუმცა ერთფეროვანი მასალისგან არის აგებული, მაგრამ ეს მასალა არის არა იდეალური, არამედ მატერიალური. ის, რაც იდეალური გვგონია, ნამდვილად არისო მატერიალური. ამგვარი შეხედულების მატარებელი მატერიალიზმი შექანიცსტური მატერიალიზმია და ისევე მცდარია, როგორც იდეალიზმი. ორივე მიმართულება ცალმხრივია და, მაშასადამე, ყალბი. კულ-

ტურის ერთი მხარის მოჩვენებად, ილუზიად გამოცხადება, — სულ-ერთია, მისი რომელი მხარე იქნება ეს, იდეალური თუ მატერიალური, — ასენა კი არ არის კულტურის ფაქტისა, არამედ ამ ფაქტისა დაშლა და უარყოფაა. შეუძლებელია ფაქტის სახით არსებობის დობდეს ის, რაც ნამდვილია, იმასთან, რაც მოჩვენებაა. გაუმართლებელი იქნებოდა ჩვენი ესოდენ მაღალი პატივისცემა და დაფასება კულტურისა, თუ ის, თუნდაც ნაწილობრივ, მხოლოდ მოჩვენებაა.

მარქსისტულ-ლენინური თეორია კულტურისა აღიარებს, რომ კულტურის ფაქტში გაერთიანებულია მატერიალური და იდეალური, იგი ორი ნამდვილი სინამდვილის ორგანული სინთეზია და ამ სახით აქვს მას მხოლოდ ღირებულება. ამის შესაძლებლობა იმას ემყარება, რომ იდეალური მატერიალურის პროდუქტი და თვისებაა და ამიტომ, მისი თვისებრივი თავისებურების მიუხედავად, მატერიალურთან შეიძლება დაკავშირდეს.

როგორც ითქვა, კულტურა ღირებულებას შეიცავს. ღირებულება უნდა ჰქონდეს როგორც იმას, რაც გამოსახულია, ისე იმასაც, თუ როგორ არის შინაარსი გამოსახული. როგორც ხელოვნების პროდუქტზე არ ითქმის, რომ ის არის შინაარსი პლუს ფორმა, ისე კულტურაზეც არ ითქმის, რომ ის არის სუბიექტური პლუს ობიექტური. ხელოვნების პროდუქტიცა და კულტურის ფაქტიც მაშინ არის თავის ბუნებრივ მდგომარეობაში, თავისი ნამდვილი სანით მოცემული, როცა მოხსნილია ფორმისა და შინაარსის, სუბიექტურისა და ობიექტურის დაპირისპირება. კულტურაზე რომ ვამბობთ, ის არის სუბიექტურისა და ობიექტურის სინთეზით, ეს ეხება მის წარმოქმნის პროცესს, მის უნეზისს. თვით სინთეზში უნდა ყოველთვის ვიგულისხმოთ ისეთი ერთიანობა, რომელიც სუბიექტურისა და ობიექტურის დაპირისპირებისაგან თავისუფალია.

მაგრამ როცა კულტურის ღირებულების წყაროს ეხება საკითხი, აზრი ანალიზისკენ მიისწრაფვის და ღირებულების საფუძველს ერთ-ერთ ასპექტში ეძებს. არავინ იტყვის, რასაკვირველია, რომ ფერწერის ნაწარმოების ღირებულებაში წილი უძევს საღებავებსა და ტილოს. ამ კონტექსტში ამათ ღირებულებაზე ლაპარაკი კარიყატურულ ვითარებას შეემნიდა. კულტურის ღირებულების სათავეს აქ არავინ ეძებს, მაგრამ მაინც სად მდებარეობს იგი, ძნელი სათქმელია, აზრთა სხვაობაც ამ საკითხზე ამიტომ არსებობს.

ծոծե. Չոցո մշտլեցարո կուլթուրան պայպարեծս, հոգոռնը ուստ քրուցան, հոմելու պ աեռնուցողեծս օդամօնան პօրովնուլ նոթան- տցուցեատա ցամլա-ցագուրիիցնան դա ամոտ մու մալալ սագուէսկուրիչ ապանան. ամ սայմօնոնձու լուրեծուլեծու բյահորո პօրովնեծա ուղալու- ծա: Ընրեծուլու ու, հաց პօրովնեծու ցանցուարեծան պայպուէ ելու, ածոյեկտուրո լուրեծուլեծա կուլթուրու մնոթցնելոնձան ուցեն մաժոն, հուրա ոցո պօրովնեծու ամալուեծա մոնախուլոնձան.

Չոցո ու անհուսա, հոմ პօրովնեծա յո ար արու տզոտոն լուրե- ծուլեծու პօրովնու բյահո, արամեց ու, րու մուեցուտապ օթոմեծա տզոտոն ցանցուարեծա პօրովնեծու մու բյոնեցլու սացուէսկուրեծու նշելարեծու մնոթցնելոնձա. ամու մուեցուտ, օդամօնան պօրովնեծա յո ար անփշեծս, մացալուտագ, ելուրուն կուլթուրուլ լուրեծու- լեծուս, հոգոռնը յը ցընու პօրովնու ցանեսուլու տեռորուս, արա- մեց, պօրովնու, պօրովնեծա ելու կուլթուրուլ դա լուրեծուլո մուուրմ, հոմ ու ցնուար ելուրուն ելուրուն, մուուրմ, հոմ ման մոաեցուն ելուրուն նշեցուս նշեցուս, ասոմուլապու. ծուրյուաზուլ գուլոսուցուա- ծու ցաշրւուլեծուլու ուստու տեռորուապ, հոմլու մուեցուտ արև- ծածե տացուտացագու լուրեծուլեծուս սամպարո, պացլու դա մահալու- լո, եռլու կուլթուրո արու ամ լուրեծուլեծուս ցամոցլուն եծա ամ- յացնուր սինամզուլու մու. ածամօնու յյ բյահորուցուն հոգոռնը պացալու լուրեծուլեծուս ուգեալու սամպարուս դա ամյացնուր հյալու սամպարուս մորուս.

մահյեսուսթուլ-լենոնուրո տեռորու կուլթուրուս լուրեծուլեծուս ամուցու ու լուրեծուլեծուան, հոմ պամալուս լուրեծուլեծու արու յոմոնուսթուրո սուլուսկուետեցու ցամսկուալու ածամօնու, եռլու ստուտու ածամօնու նշեսացուրո սաթոցագուեծու բյուծուլեծու յոմոն- նուսթուրո բյուծուլեծա, հոմլուստցուսապ ծիրամու ամյամալ պամալուս մոցալունձա. ամու մուեցուտ ու կուլթուրուլ մուցաթյունա պամալ- լուս լուրեծուլեծուս մյոնե դա ու սացնեծու պամալուս կուլթու- րուլ լուրեծուլեծուս մարտարեցլո, հոմելոնու յոմոնութմօնսատցու, յոմոնուսթուրո ածամօնուսատցու ծիրամու մու տցալսահինո հոլու արալու եցն.

* * *

կուլթուրուս հոմելո ցացեծապ պնդա օցուռու, պացլու ալա- մօնուս սուլուրո սամպարուս մոնախուլոնձա ուցուլուսեմեծա. մահյու ածոյեկտուրո մոցլու, ու ու սութույեկտուրուս ար ցամոսահաց անդա

თუ სუბიექტის პიროვნულ განვითარებას არ იწვევს, კულტურულ მოვლენად ვერ ჩაითვლება. ამას მოსდევს შედეგად ის, რომ კულტურა, ასე თუ ისე, ინდივიდუალურ სახეს ატარებს. რახან არსებობს სულიერი ინდივიდი, რახან ერის ერთ-ერთი თავისებურება მისი სპეციფიკური სულიერი წყობაა, ინდივიდისა და ერის შინაგანი სამყაროს ნაწარმოებს არ შეიძლება, რომ არ ახლდეს ინდივიდისა და ერის ელფერი. ამით აიხსნება ის, რომ არსებობს არა-მარტო საკაცობრიო კულტურა, არამედ არსებობს ეროვნული და ინდივიდუალური კულტურაც.

ზოგი მკვლევარი იქამდე მივიღდა ეროვნული კულტურის თავისებურების აღწერის დროს, რომ უარყო საერთოსაკაცობრიო კულტურის არსებობა. ეს, რასაკიირველია, იყო მცდარი აზრი, მაგრამ კიდევ უფრო მცდარია ის შეხედულება, რომლის მიხედვით კულტურა ერთია, როგორც, მაგალითად, ერთია მეცნიერება, ჭეშმარიტება, თითქოს ეროვნული კულტურა ან სულ არ არსებობს და ან მცირე ლირებულების წარმონაქმნი იყოს და მომავალში სრულიად გათქვეფა ელოდეს საკაცობრიო კულტურაში. ამას ამტკიცებს კოლონიალიზმის ზოგი ფარული თუ აშკარა შომხრე და თანაც საკაცობრიო კულტურაში იმ ერის კულტურას გულისხმობს, რომელსაც თვითონ ეკუთვნის. რასაკიირველია, ასეთ შეხედულებას ჭეშმარიტებასთან, მეცნიერულ კავლევასთან არაფერი აქვს საერთო. ასეთი აზრები კოლონიურ-იმპერიალისტური აზრებია და ყოველთვის რომელიმე გაბატონებული ერის წარმომადგენლის მიერ არის მოჩმახული.

ჭეშმარიტება ისაა, რომ ყოველი ადამიანი და ყოველი ერი საერთო საკაცობრიო ნიშნებსაც შეიცავს და სპეციფიკურ ეროვნულსა და ინდივიდუალურსაც. ლირებულებას ქმნის როგორც ერთი, ისე მეორე სულიერი და გონითი შემოქმედება; პერსონალური შედეგი, ადამიანის პიროვნების ამაღლებაც მხოლოდ ისეთ კულტურას შეუძლია, რომელიც შინაგანად ენათესავება ადამიანის სულს, მის ეროვნულსა და ინდივიდუალურ თავისებურებას. როცა ვამბობთ, „ყველაფერი ადამიანისათვის“, ჩვენ ვგულისხმობთ კონკრეტულ რეალურ ადამიანს, რომელსაც ეროვნული ნიშანიც აქვს და ინდივიდუალურიც. აბსტრაქტული ადამიანი, ადამიანი როგორც იდეა, კულტურულ ზრუნვასა და რეალურ ზემოქმედებას არ საჭიროებს.

ზოგადსაკაცობრიო კულტურასა და ეროვნულ კულტურას

შორის არავითაზი შინაგანი წინააღმდეგობა არ არის და არც შეიძლება იყოს. როგორც ზოგადი და კერძო საერთოდ განუყრელი არიან ერთმანეთისაგან და ლოგიკურად ერთი მეორის პირობებს შეადგენენ, ისე ეროვნული და საკაცობრიო კულტურები ერთად არიან და ერთმანეთს შეაპირობებენ. მხოლოდ იმპერიალისტური განზრახვებია, რომელნიც ამ ჭეშმარიტებას ვერ ეგუებიან და საკაცობრიო კულტურისათვის ზრუნვის მოტივით ეროვნულ ჩაგვრას ისახვენ მიზნად. ამიტომ ვამბობთ, რომ ეროვნული კულტურის დაცვა არის უდიდესი კულტურული ამოცანა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი.

კულტურის რაობის გაგებაში თვალსაჩინო დახმარებას გვიწევს ამ ცნების შედარება ცივილიზაციასთან. მართალია, ზოგჯერ ეს ცნებები იხმარება, როგორც სინონიმები, მაგრამ ამას არა აქვს გამართლება: არსებობს ორი განსხვავებული და რამდენადმე საპირასპირო შინაარსიც და ისინი საჭიროებენ განსხვავებულ გააზრებასა და განსხვავებულ შეფასებას. რომ ეს ასეა, ამჟამად დავას არ იწვევს მკვლევრებში, თუმცა განსხვავების ხასიათის შესახებ აზრთა სხვაობას მაინც აქვთ ადგილი.

სიტყვა „ცივილიზაცია“ ნაწარმოებია ლათინურ სიტყვიდან „civis“, რაც ნიშნავს „მოქალაქეს“. ცივილიზაციაში იგულისხმება მოქალაქის, საზოგადოების წევრის ნაწარმოები. ამ ტერმინში ისიც იგულისხმება, რომ საქმე გვაქვს ისეთი აღამიანის ნაწარმოებთან, რომელიც ქალაქში ცხოვრობს და, მაშასადამე, უნდა ვივარაულოთ, რომ ნაწარმოები უკეთესი იქნება სოფლელის ნაწარმოებზე. ამგვარად, „ცივილიზებული“ ნიშნავს უკეთესს, გაუმჯობესებულს. როცა რომელიმე ენაში არის სიტყვა „ცივილიზაცია“, მაგრამ არ არის სიტყვა „კულტურა“, ტერმინი „ცივილიზაცია“ ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც „კულტურა“. როცა ამ ცნებებს უპირისპირებენ, გულისხმობენ, რომ კულტურა უნდა აღნიშნავდეს შინაგანს, მეტი ღირებულების მქონე მოვლენას, ხოლო ცივილიზაცია უნდა ვუწოდოთ გარეგანს, შედარებით უმნიშვნელოს, წარმავალს. მოვლენები, რომლებიც თავს იყრის ცივილიზაციაში, კულტურა კი არ არის, არამედ კულტურისათვის საჭირო საშუალებებია.

ცივილიზაციას ზოგი ეძახის იმ აპარატს, რაც კულტურას სჭირდება. ცივილიზაცია და კულტურა ხშირად წარმოიდგინება, როგორც ორი სართული შენობისა, სადაც პირველ სართულს ცივი-

ლიზაცია წარმოადგენს, ხოლო მეორეს — კულტურა. ცივილიზაციის ერთ-ერთი განსხვავება კულტურისაგან ისაა, რომ როცა კულტურული ქმნილება ყოველთვის ერთჯერადია და განუმეორებელი, ცივილიზაციის პროდუქტი შეიძლება მრავალჯერ გამეორდეს. „ვეფხისტყაოსანი“ ორჯერ არ დაიწერება, ორჯერ არ შეიქმნება, მაგრამ მანქანის მოტორი უსასრულოდ მრავალჯერ გაკეთდება და თანაც შეიძლება განუშევეტლივ უმჯობესდებოდეს. თუ კულტურა დაიღუპა, მისი აღდგენა არ შეიძლება, მაგრამ ცივილიზაციის პროდუქტების აღდგენას არაფერი ელობება წინ. კულტურის პროდუქტების გავრცელებას თავისი საზღვრები აქვს. მათი გადალახვა ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელი. ცივილიზაციის საგნები ასეთ საზღვრებსა და დაბრკოლებას გავრცელებაში არ ხვდებიან.

არსებობს კულტურის გაგების პრობლემა, მაგრამ ცივილიზაციის მიმართ ასეთი პრობლემა უცნობია. შეიძლება, მაგალითად, ქართველმა ვერ გაიგოს, ვერ განიცადოს ჩინური მუსიკა და პირიქით, მაგრამ ამგვარ სიძნელეს არ შეხვდება ჩინური ან ქართული მანქანა. იმისთვის, რომ ერთი კულტურის წარმომადგენელმა გაიგოს მთლიანად და განიცადოს მეორე ერის, მეორე კულტურის ნაწარმოები, საჭიროა ერთგვარი შინაგანი, სულიერი ნათესაობა, რაც ცივილიზაციის პროდუქტს არ ესაჭიროება: ცივილიზაციის პროდუქტის გასაგებად ინტელექტი საკმარისია, კულტურის გაგება მოითხოვს, ინტელექტს გარდა, სათანადო გრძნობასა და მისწრაფებას, გემოვნებისა და შეფასების თავისებურ განვითარებას. მკვლევარები მიუთითებენ იმაზე, რომ ცივილიზაციის გავრცელებას, მის გადასვლის ერთი ერიდან მეორეში ზოგჯერ ხელს უშლის კულტურის თავისებურება. კულტურა ერთი ერისა შეიძლება მტრულად იყოს განწყობილი მეორე ერის ცივილიზაციისაღმი და ამიტომ წინაღუდგეს მის შემოჭრას. აქაც, მაშასადამე, ჩანს, რომ კულტურა და ცივილიზაცია არ არის ერთი და იგივე და რომ ზოგჯერ მათ შორის მტრული დამოკიდებულებაც არის.

მიუთითებთ კიდევ არსებითი ხასიათის ერთ განსხვავებაზე. კულტურის განვითარებაში ყოველთვის აღმავალი გზა არ არის. არაიშვიათია იმის მაგალითები, როცა ამა თუ იმ ერის კულტურაში ადრინდელი შემოქმედება უმჯობესია მერმინდელზე, რასაც ვერ ვიტყვით საერთოდ ცივილიზაციის შესახებ. აქ, როგორც წესი, არსებობს თანდათანი და აღმავალი ხაზით მიმღინარე პროცესი,

დალევანდელი სჯობს გუშინდელს. ამბობენ: „მოტორები სულ უფრო და უფრო უკეთესი უნდა იყოსო“. ამასვე ვერ ვიტყვიო კულტურაზე: მეოცე საუკუნეში დაწერილი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები ვერ სჯობს XII საუკუნეში დაწერილ „გეფეხსტუმანსანს“, პლატონისა და ორისტოტელეს ფილლოსოფიის „შესაღარი ნაწარმოები თანამედროვე საბერძნეთის კულტურაში არ მოიპოვება, ხოლო ცივილიზაცია, მაგალითად, ტექნიკა თანამედროვე საბერძნეთისა, რასაკეირველია ბევრად უფრო მაღლა დგას ძველბერძნულ ცივილიზაციაზე.

არის სხვა განსხვავებაც კულტურასა და ცივილიზაციას შორის, მაგრამ ამაზე შეჩერება აქ არ მიგვაჩნია საჭიროდ. ის, რაც ითქვა, უფიქრობთ, საკისრისია იმისათვის, რომ ამ ორი ცნების გაიგვება უმართებულოდ ჩავთვალოთ. ნათქვამიდან ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ კულტურას ბევრად მაღლა აყენებენ ცივილიზაციაზე. ზოგი ცივილიზაციას უტოლებს კულტურის იმ საფეხურს, რომელიც მის დაცემას, მის დეკადანს მოასწავებს. ბევრი რამ, რაც ითქვა ე. წ. კულტურის კრიტიკოსების მიერ, მეტწილად ეხება ცივილიზაციას, მის იმ ნიშან-თვისებებს, რომლებითაც იგი კულტურისაგან განსხვავდება. ეს გარემოებაც გვავალებს ამ ორი მონათესავე ცნების მტკიცე გამიჯვნას ერთმანეთიდან: რაც ითქმის ერთ-ერთ მათგანზე, არ შეიძლება მთლიანად გავრცელდეს მეორეზე.

კულტურის მარქსისტულ-ლენინური თეორია დიდ ყურადღებას აქცევს პროლეტარული და ბურჟუაზიული კულტურის ურთიერთობას, საბჭოთა ქვეყნის დამოკიდებულებას ბურჟუაზიული კულტურისადმი. ზოგი რამ ძირითადი ამის შესახებ აქაც უნდა ითქვას.

კულტურა სოციალური ფაქტია და სხვა სოციალურ მოვლენებთან ერთად ისიც ვთიარდება, იცვლება. განვითარების შედეგი მარტო ის არაა, რომ იქმნებიან ახალი კულტურული ღირებულებანი, არამედ ისიც, რომ ზოგი რამ, რაც ერთ დროს მაღალი ღირებულების მქონედ ითვლებოდა, სხვა დროს ღრიმოჭმულად და მნიშვნელობადაკარგულად ცხადდება. განვითარება ახლის მიღებასთან ერთად, ძველის უარყოფასაც ნიშნავს. ამ თვალსაზრისით მოულოდნელი არაფერი არ უნდა იყოს იმაში, რომ ისეთი საზოგადოებრივი ფორმაცია, როგორიცაა სოციალისტური, რომელიც პრინციპულად მაღლა დგას ბურჟუაზიულზე, კრიტიკულად უყურებდეს ყოველივე იმას, რაც საზოგადოებრივი ფორმაციის დრო-

მოქმედ საფეხურზე გაჩნდა. ერთი კულტურული ღირებულების შეცვლა მეორით ხდება თვით ერთსა და იმავე სოციალურ ფორმა-ციაში, მით უმეტეს, ეს მოხდება ფორმაციათა შეცვლის საფუძ-ველზე.

მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა შეიცვალოს და რა უნდა დარჩეს, რა უნდა მიჰყევს უკან ძველ ფორმაციას და რა გადმოვიდეს ძველიდან ახალში, ფრიად სერიოზული და რთული საკითხია.

სრულიად უაზრო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ამა თუ იმ სოციალური ფორმაციის უარყოფასთან ერთად უარყოფილ უნდა იქნეს ყოველივე მასთან დაკავშირებული, მის წიაღმი აღმოცენებული. ეს იქნებოდა საკაციბრიო ისტორიის გაუქმების მოთხოვნა, კერძოდ, კულტურის ისტორიის გაუქმება, იმის გაუქმება, რაც კაციბრიობას ლირებულებასა და ერთიანობას ანიჭებს. რასაკვირველია, ასეთი აზრის დაცვას სერიოზულად არავინ ეცდება. მაგრამ შერჩევის საკითხი, როგორც ძნელი საკითხი, მაინც რჩება. მარქ-სიზმ-ლენინიზმი ამ საკითხშიც პრინციპულ მოსაზრებას ემყარება. მისი პრინციპია — ყველგან, კულტურის ყოველ გამოვლინებაში ეძებოს დადებითი მნიშვნელობის მქონე ნაწარმოები, „რაციონალური მარცვალი“ და იგი გამოიყენოს სოციალისტური კულტურის ასაგებად. ეს თვალსაზრისი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ კომუნისტური თეორიაცა და პრაქტიკაც წარმოდგენილია როგორც მემკვიდრე და შემცველი ყოველივე კარგისა და მისაღებისა, ყოველივე გონივრულისა და პროგრესულისა, რაც კი კაციბრიობას ოდესმე და სადმე შეუქმნია. საბჭოთა ქვეყანა თავის მოწოდებად და მოვალეობად თვლის დაიცვას და განვითაროს ყოველი სახის, ყოველი ერის კულტურა, რომელსაც კაციბრიობისათვის სიკეთე მოაქვს, რომელიც ადამიანობის განვითარებას ემსახურება. ამგვარ მოქმედებას მოითხოვს კომუნიზმის შინაარსი, კომუნიზმის მაღალი კულტურული ამოცანები.

რასაკვირველია, ბურჟუაზიული კულტურის მიმართ ჩვენს ქვეყანას მკაცრი კრიტიკული მიდგომა აქვს. ის, რაც ბურჟუაზიის შემოქმედებაში თვითონ ბურჟუაზიული წყობის განმტკიცებას, მისი სიცოცხლის გახანგრძლივებას ემსახურება და ამით ხელს უშლის კაციბრიობის წინსვლას უკითხესი მომავლისაკენ, ჩვენს სიმპათიებს ვერ მოიპოვებს. ასეთს ნაწარმოებს ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ პროლეტარული კულტურის შემოქმედება და ამ გზით

გამუდობით გზა პროგრესულ იდეებსა და მისწრაფებებს. აქ კულტურათა დაბირისპირებასა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აქვს აღგილი. ამ შემთხვევაშიც უნდა გაიმარჯვოს პროგრესულმა, უმაღლესი ღირებულების მატარებელმა შემოქმედებამ.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ სოციალისტური და ბურჟუაზიული კულტურის გამოსაცნობად საქმარისი იყოს იმის ცოდნა, თუ სად, რომელ ქვეყანაში არის შექმნილი ესა თუ ის ნაწარმოები — ბურჟუაზიულში, თუ სოციალისტურში. არაა გამორიცხული, რომ ზოგი რამ, რაც ჩვენში იქმნება, ძიეკუთვნოს ბურჟუაზიულ გემოვნებას, ბურჟუაზიულ კულტურას, ხოლო ზოგი რამ, რაც ბურჟუაზიულ ქვეყანაში შექმნილია, კომუნისტური კულტურის შემადგენლობაში შევიდეს. ეს იმიტომაც შეიძლება ასე მოხდეს, რომ კულტურულ შემოქმედებას, განსაკუთრებით კი შემოქმედებას ხელოვნებაში, უშუალოდ და მექანიკურად იდეოლოგია, ინტელექტუალური მრწამისი არ განსაზღვრავს. ამ საქმეში ოვითონ შემოქმედების შინაგანი კანონები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს და ხშირად შემოქმედის იდეოლოგიის საპირისპირო პროდუქტს აძლევენ გზას. არაიშვიათია ისეთი ფაქტები, როცა შემოქმედი რეაქციონერია თავისი მრწამსით, მაგრამ მისი ნაწარმოები, მისი შემოქმედების პროდუქტი პროგრესულობის, სიმართლის მსახურად გვევლინება. ეს გარემოება გვიყარნახებს უარვყოთ მოსაზრება, რომელიც ამბობს: „ყველაფერი, რაც ჩვენში არის შექმნილი, კარგია, შისაღებია, ხოლო ყველაფერი, რაც სხვაგან არის გაკეთებული, ცუდია, მიუღებელია“. ასე რომ იყოს, კულტურის ღირებულებათა შეფასებისთვის მარტო ელემენტარული გეოგრაფიის ცოდნა იქნებოდა საკმარისი.

ბურჟუაზიულ და სოციალისტურ კულტურას კიდევ ერთი არსებითი ხასიათის გითარება ასხვავებს. იქ, სადაც კერძო საკუთრების პრინციპი ცხოვრების აუცილებელ საფუძვლად ითვლება, კულტურასაც ამ თვალსაზრისით უყურებენ. ამის ნიადაგზე შეიძლება ასეთი აზრი დაიბადოს: „მნიშვნელოვანია და ღირებული მხოლოდ ის კულტურა, რომელშიც ჩემი შინასამყარო არის გამოსახული, ყოველივე დანარჩენს ჩემთვის არავითარი ფასი არა აქვს“. ამ პრინციპის გატარება კულტურის მრავალფეროვნებას სპობს და ერთი რომელიმე გაბატონებული ერის კულტურას ერთადერთ კანონი-ერ მოვლენად აცხადებს. კულტურის სახელით ხდება კულტურის მოსპობა. სულ სხვა ვითარებაა იქ, სადაც წინა პლანზეა საერთო ინტერესი, სადაც ისეთი წყობილების შექმნაა მიზნად დასახული,

რომელიც ყველას მისცემს საშუალებას — მთელი თავისი შემოქმედებით უნარი გამოავლინოს. ასეთი ქვეყანა აღფრთოვანებით შეხვდება ყოველივე ახალსა და ორიგინალურს, მოუვლის და განვითარების საუკეთესო პირობებში შეუქმნის ამას. აյ კულტურის პროდუქტი ფასდება არა იმის მიხედვით, თუ ვინ შექმნა ივი, არამედ იმის მიხედვით, თუ რა ღირებულებას შეიცავს ივი. შემოქმედის სიდიდე და სიდიადე მისი ნამოქმედარის სიდიდესა და სიდიადეზეა დამოკიდებული. როგორც ქანდაკების სიმშვინიერე არ აზიანებს ლექსის სილამაზეს, ისე ერთი ერთს კულტურა არ ვნებს მეორე ერის კულტურას. მათი მტრული დაპირისპირება შედეგია ისეთი ძალებისა, რომელთაც კულტურასა და ადამიანობასთან არაფერი საერთო არა აქვთ. კომუნისტურმა წყობილებამ უნდა შეუქმნას ყოველ ერსა და ყოველ პიროვნებას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს მათი შემოქმედებითი შესაძლებლობის სრულს გაფურჩქვნას. ამ გზით შეიქმნება ის მრავალფეროვნება კულტურისა, რომელიც თვით კაცობრიობის ღირებულების საფუძველია, რომელიც კაცობრიობას გამართლებას აძლევს. კომუნიზმი ჩვენ ამისთვის გვინდა.

კულტურა მრავალფეროვანია. მისი სხვადასხვა მომენტები საერთოდ მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ერთი რომელიმეს განვითარება ან ჩამორჩენა სათანადო გავლენას ახდენს კულტურის სხვა დარგებზე. მაგრამ ხდება ასეც, რომ, თანაბარი განვითარების ნაცვლად, კულტურის ერთი ფორმა რომ წინ მიდის, მეორე უკან მიდის, თანდათანობით სუსტდება და დარიბდება. შემჩერულია, მაგალითად, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად ხდება ზნეობრივი კულტურის დაცემა: ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამცირებს მომთხოვნელობას თავისი თავის მიმართ, გულგრილად უყურებს სხვის ქცევას, როცა ივი გაყიცხვის ლირსია და ა. შ. ამგვარ ვითარებაში ჩნდება არა-ორმალური დამოკიდებულება კულტურისადმი, იბადება კულტურის სიძულვილის გრძნობა, იწყება ლაპარაკი კულტურის მავნებლობაზე, მის არაადამიანურ თვისებებზე. ამგვარი განწყობილების თვალსაჩინო მაგალითს გვაძლევს ცნობილი ფილოსოფოლის უნ უკა რუსოს შეხედულება კულტურაზე, კერძოდ, მეცნიერებასა და ხელოვნებაზე.

1749 წ. დიუონის აქადემიამ (საფრანგეთი) გამოაცხადა კონკურსი გამოკვლევაზე, რომლის თემა უნდა ყოფილიყო შემდეგი:

„ხელს უშენობდა თუ არა მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინება ზნეობის გაუმჯობესებას“. რუსომ ამ კითხვაზე საპასუხოდ დაწერა გმოკვლევა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებამ გამოიწვია ზნეობის დაცემა, ადამიანის გადაგვარება. „ჩვენი სულები ირყვნებოდა იმდენად, რამდენადაც სრულყოფილი ხდებოდა მეცნიერება და ხელოვნება“. „იმის კვალობაზე, თუ როგორ ანათებდნენ ისინი ჩვენს ცის კამარას, ქრებოდა კეთილშობილება“. „ყველაფერი კარგია, რაც გამოდის ღვთის ხელიდან, ყველაფერი ფუჭდება ადამიანის ხელში“. ადამიანი თავისი ბუნებით კეთილია, მაგრამ ამ სიკეთეს მას ართმევენ მეცნიერება და ხელოვნებათ. კეთილშობილების დასაბრუნებლად ადამიანის პირველყოფილი მდგომარეობისადმი დაბრუნებააო საჭირო. კეთილშობილი ადამიანი ბევრად უფრო ღირებულია, ვიდრე მეცნიერი და ხელოვანი, სადაც „კარგ სიტყვას“ მეტი ადგილი მიეცა, ვიდრე „კარგ მოქმედებას“, ყველგან ზნეობის დაცემამაც იჩინა თავი. ზნეობას, რუსოს აზრით, არც მეცნიერება ესაჭიროება და არც ხელოვნება. ზნეობრივი ნორმები და წესები დაბადებიდანვე არიან ჩაწერილი ადამიანის გულში. ამას ყველა ამოიკითხავს სხვის დაუხმარებლად, თუ თავის სინდისს მოუსმენს.

რუსოს ეს აზრები საყოველთაო მსჯელობის საგანი გახდა იმ დროს და იმის შემდეგაც ისინი ხშირად გაიხსენეს, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება მორალურ კრიზისს განიცდიდა. საინტერესოა, რომ დიუონის აკადემიამ, რომელსაც მეცნიერების ავტოროტეტის დაცვა ევალებოდა, რუსოს ნაშრომს, რომელიც მეცნიერებას ბრალს სდებდა უზნეობის გავრცელებაში, პრემია მიანიჭა. ამით მაშინდელმა მეცნიერებამ აღიარა, რომ ცოდნის ზრდა შეიძლება არ იყოს სასარგებლო აღამიანთა ზნეობრივი განვითარებისათვის. და მართლაც, რა იქნებოდა იმაზე უფრო დიდი შეცდომა, რომ გვეფიქრა და გვეთქვა: „ვინც მეტი იცის, ის ზნეობითაც მაღლა დგას, ხოლო ვისაც აკლია ცოდნა, მას ზნეობაც აკლია“?! ასეთი ფორმულა და კრიტერიუმი ზნეობისა, რასაკვირველია, მცდარია. ჩვენ რომ ამჟამად იღშფოთებული ვართ ამერიკის შეერთებული შტატების აგრძესით და აღფრთოვანებული დემოკრატიული ვიეტნამის პატრიოტიზმით, იმის ნათელი მაგალითია, რომ ცოდნა და არცოდნა ყოველთვის როდი უკავშირდება ზნეობის განსაზღვრულ ხარისხს. შეერთებული შტატების მხედრიონს ცოდნა კი არ აკლია, არამედ ზნეობა, ვიეტნამელ პატრიოტს შეიძლება

ამდენი ცოდნა არ ჰქონდეს, მაგრამ ზნეობრივად იგი უფრო მაღლა დგას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რაც ზემოთ ითქვა კულტურისა და ცივილიზაციის განსხვავების შესახებ, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ამ „ჰუჭყიან ომში“ ამერიკელი აგრესორი ცივილიზებულია, მაგრამ უკულტურო. კულტურის მაღალი დონით აქ ჩვენ გვევლინება ის, ვინც სიცოცხლეს არ ზოგავს, ოლონდ შეინარჩუნოს თავისუფლება, ყველაზე ღირებული აღამიანის ცხოვრებაში.

რუსო არ იყო მართალი, როცა კეთილშობილების გაქრობას მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას აბრალებდა. არავითარი შინაგანი წინააღმდეგობა ზნეობასა და მეცნიერებას შორის, კეთილშობილებასა და ხელოვნებას შორის არ არსებობს. პირიქით, მეცნიერებაც და ხელოვნებაც მოითხოვენ ზნეობრიობას, კეთილშობილებას. ზნეობის დაცვამას განსაზღვრავენ სხვა ფაქტორები, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ძალები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა მეცნიერებისა და ხელოვნების გამოყენებას მოითხოვს. მაინც უნდა გვახსოვდეს მუდამ რუსოს აზრები და არ მოვხსნათ არასოდეს დღის წესრიგიდან შემდეგი ამოცანა: „ვითარდება თუ არა ზნეობა, ჩვენი აღამიანების კეთილშობილება მეცნიერების, ხელოვნებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად? ხომ არა აქვს ადგილი ზნეობის დონის ჩამორჩენას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონიდან?“

ყველა ღირებულებას შორის, რომლებითაც კულტურა ამ საბატიო სახელს იმსახურებს, უმაღლესია ზნეობრივი ღირებულება. კულტურის განვითარება, კულტურის დონე, საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურულობა იზომება, პირველ რიგში, იმის მიხედვით, თუ რაოდენ ასწია მან აღამიანის ზნეობა, რაოდენ გააუმჯობესა მან ადამიანი, როგორც ზნეობრივი არსება.



ჩედაქტორი ნ. ჭავჭავაძე
გამომცემლობის ჩედაქტორი ნ. ძოშენიძე
ტექჩირედაქტორი ლ. პაჭუორია
კორექტორი ც. უნდელაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VIII-65 წ. ქალალდის ზომა $60 \times 84^{1}/16$;
ნაბეჭდი თაბახი 2,25; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,65.

ფასი 10 კაპ.

შე 10134 ტირაჟი 13.000. შეკვ. № 2338.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

საქართველოს კკ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატი, თბილისი,
ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.



Аигия Тадеозович Бочоришвили

Что такое культура?

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1965

၁၁၆၀ ၁၀ ၂၁၃၈.

၃

၁၅၄

